ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი № 6

ქ. ლანჩხუთი

23.06.2022
15:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ზაზა წულაძე.**

კომისიის წევრები: გიორგი იმნაიშვილი, ალექსანდრე მახათაძე, გოჩა ჯანაშია, კარლო კვიტაიშვილი,

მოწვეული: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ომარ ჯანაძე. საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ლაშა სარჯველაძე, საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი ნინო ებრალიძე.

კომისიის სხდომას არ ესწრებოდა დეპუტატები: ვლადიმერ ნანაძე, გიორგი ჩახვაძე, კახაბერ ასკურავა, გივი ცინცაძე.

კომისიის თავმჯდომარემ ზაზა წულაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 მარტის N18 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: ზაზა წულაძე/

2. სხვადასხვა

კომისიის თავმჯდომარემ, ზაზა წულაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:
მომხრე: 5; წინააღმდეგი: არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 მარტის N18 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიას გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსის

მოვალეობის შემსრულებელმა ომარ ჯანაძემ. მან განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის დავალებით, დამოუკიდებელი აუდიტის მიერ, შეფასდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, (ქ. ლანჩხუთში ჟორდანიას ქუჩა N74-ში მდებარე საცხოვრებელი ფართის (ს/კ 27.06.52.055.01.015) და აცანის ადმინისტრაციულ ერთეულის სოფელ აცანაში სოფელში მდებარე 1336 კვ.მ მიწის ნაკვეთის და მასზე განათავსებული N1 და N2 შენობების (ს/კ 27.02.44.223) და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ არამატერიალური ქონებრივსიკეთის მიკუთვნებული წილი (შპს) „ფეხბურთის კლუბი ლანჩხუთის გურია"-ს 100%-იანი წილი (ს/ნ 433651461).
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების ცვლილების პროექტი, მომზადდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, რომელიც მიზანშეწონილად მიიჩნევს,რომ ზემოაღნიშნული შეფასებული მუნიციპალური ქონება, შემდგომი განკარგვის მიზნით, აისახოს მუნიციპალიტეტის უძრავი ქონებისა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეს მიკუთვნებული წილებისა და აქციების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხასა და გეგმაში.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 მარტის N18 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.

სხდომის თავმჯდომარემ **ზაზა წულაძემ** კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე: 5 ; წინააღმდეგი: არცერთი.

ამით კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის,
ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: **ზაზა წულაძე**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის,
ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის
სხდომის დასკვნა №6

23.06.2022 წელი
15.00 საათი

მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 23 ივნისს მოწვეულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხი:

1. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 მარტის N18 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: ზაზა წულაძე/

დღის წესრიგის პირველი საკითხი ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 მარტის N18 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი შენიშვნების გარეშე გადაეცეს საკრებულოს სხდომას განსახილველად.

მომხრე 5 , წინააღმდეგი; არცერთი.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი
რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: ზ. წულაძე ზაზა წულაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

23.06. 2022 წელი
15:00 საათი

	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ზაზა წულაძე	14 50	
2	ალექსანდრე მახათაძე	14 50	
3	კარლო კვიტაიშვილი	14 55	
4	გიორგი იმნაიშვილი	14 55	
5	ვლადიმერ ნანაძე	—	არ ესწრებოდა
6	გიორგი ჩახვაძე	—	არ ესწრებოდა
7	გივი ცინცაძე	—	არ ესწრებოდა
8	კახაბერ ასკურავა	—	არ ესწრებოდა
9	გოჩა ჯანაშია	14 55	